

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა დოკუმენტებით.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე. ასრულებს რექტორის მითითებებსა და დავალებებს.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

სამსახური საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების/მატერიალური ფასეულობების უსაფრთხოებას და დაცვას;

ბ) დაწესებულების შენობის მთელ პერიმეტრზე იცავს საზოგადოებრივ წესრიგს და სახანძრო უსაფრთხოების წესებს უწყვეტ რეჟიმში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გადაადგილებაში;

დ) წესრიგის დარღვევაზე ახორციელებს შესაბამის რეაგირებას და საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან;

ე) ხანძრის ან სხვა საგანგებო სიტუაციებში ახორციელებს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფთა ევაკუაციის ორგანიზებას;

ვ) ამზადებს ანგარიშს განუული საქმიანობის შესახებ და ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს სამსახურის შემდგომი განვითარებისთვის;

ზ) ასრულებს ხელმძღვანელობის სხვა მითითებებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, მაგრამ უკავშირდება სასწავლო პროცესის გამართულ ფუნქციონირებას, წესრიგის დაცვას, უნივერსიტეტის

თანამშრომელთა/სტუდენტთა უსაფრთხოებას და უნივერსიტეტის ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ბეპირი შეთანხმების საფუძველზე.

2. სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ამ დებულებით სამსახურისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დგინდება დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაოს აღწერილობებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.